<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის, წყნეთის გზატკეცილის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხისთვის, ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთს, წყნეთის გზატკეცილის შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჯანსუღ კორძაიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ვაკის რაიონში, ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხს მიენიჭოს ჯანსუღ კორძაიას I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 2829
ფოთის ტბა
ფოთის ბაზრის ქუჩა
ფოთის ბაზრის ქუჩა
ფოთის ბაზრის ქუჩ



ჯანსუღ კორძაია
(1932-2010)

მეცნიერი, მწერალი, ფილოსოფოსი, ღირსების ორდენის კავალერი.

დიბადა ქუთაისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი 1956 წელს; ასპირანტურა - 1964 წელს.

1964-1975წწ. მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფილოსოფიის კათედრაზე თავდაპირველად მასწავლებლად, შემდეგ - უფროს მასწავლებლად, დოცენტად და პროფესორად; 1979-1993წწ. მუშაობდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსად; 1994 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჯერ დეკანად, შემდეგ - ესთეტიკის კათედრის გამგედ და ამავე კათედრის პროფესორად. მისი ფილოსოფიური კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ფილოსოფიის ისტორია, გნოსეოლოგია, კულტურის ფილოსოფია. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მის ნაშრომებში გამოკვლეულია პრაქტიკის კრიტერიუმის თავისებურებანი შემეცნების თეორიაში. სტატიაში "კულტურა და სინამდვილის სუბსტანციის ახლებურად გააზრების ცდა", რომელიც დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წელიწდეულ ორგანოში "ფილოსოფიური ძიებანი", იგი ამტკიცებს, რომ კულტურის სუბსტანციას ცნობიერება წარმოადგენს. მას გამოცემული აქვს 13 პოეტური კრებული და 2 რომანი. 1975 წელ სმიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება, ხოლო 1960 წლიდან ფილოსოფიის მეცნიერებათა პროფესორია. (

იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,

1998 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა - განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-01211541113**
თარიღი: **03/06/2021**
პინი: **4364**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ამაშუკელს

ბატონო მიხეილ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსულია წერილი (06-01211472879-01, 27.05.2021წ), რომელიც ქ.თბილისში, ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 4 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 6676/01-03-65

6676-01-03-65-2-
202105271500

27/05/2021

ქ. თბილისის მერს

ბ-ნ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

წარმოგიდგენთ უნივერსიტეტელი კოლეგების ინიციატივას ქართველი მწერლის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის, თსუ პროფესორის ჯანსუღ კორძაიას სახელი ეწოდოს თბილისის ერთ უსახელო ქუჩას. ი. აბაშიძის 50 ნომერთან, სადაც ცხოვრობდა ჯ.კორძაია, ი. აბაშიძისა და ა. რაზმაძის ქუჩებს აერთებს პატარა უსახელო აღმართი.

ჯანსუღ კორძაიას მიერ მეოცე საუკუნის ქართულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, განათლებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა არაერთ სფეროში დატოვებული კვალის, ნაყოფიერი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გათვალისწინებით, გთხოვთ, ზემოთ მითითებულ პატარა უსახელო ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

მწერლის ბიოგრაფია თანდართულია.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი: +(995 32) 222 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 222 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; chancellery@tsu.ge E-mail

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნომერი: 06-01211472879-01
თარიღი: 27.05.2021 15:50
ვადა: 10.06.2021

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.1
საკონტაქტო ინფორმაცია: 599561093;
განცხადების N: 6676/01-03-65 განცხადების თარიღი: 27.05.2021
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შუამდგომლობა

მოთხოვნის ტექსტი

ჯანსუღ კორძაიას სახელისმინიჭება თბილისის ერთ უსახელო ქუჩას

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 06-01211472879-01
27.05.2021 : 15:50
ქ. თბილისი, უ.შარტავას ქ. N7

ჯანსუღ კორძაიას მოღვაწეობის შესახებ

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯანსუღ კორძაია, როგორც აღზრდილი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისეთი კორიფეებისა, როგორებიც იყვნენ სავლე წერეთელი, კოტე ბაქრაძე, მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანისა და ესთეტიკის კათედრის გამგის რანგში და თავად გახლდათ ფილოსოფოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი.

ახალგაზრდების განათლების საქმეს ემსახურებოდა ის უნივერსიტეტის პარალელურად, განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობისას.

ჯანსუღ კორძაიას სამეცნიერო კვლევის საგანი შემეცნების, კერძოდ, ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა გახლდათ. იგი იყო ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული არაერთი სამეცნიერო მონოგრაფიისა და გამოკვლევის ავტორი.

როგორც პოეტმა, ჯანსუღ კორძაიამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფილოსოფიური ლირიკა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ზედიზედ გამოქვეყნდა მისი რომანები: „სიკვდილის გენეზისი“ და „ადამიანები“, რომლებშიც ადამინის სულიერი სამყაროს ღრმა, ფილოსოფიური კვლევა ორგანულად ეთანხმება სიუჟეტური ხაზის საინტერესო, დინამიკურ განვითარებას.

2022 წელს 90 წელი შესრულდება ცნობილი ქართველი პოეტისა და პროზაიკოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჯანსუღ კორძაიას დაბადებიდან.